ცნობის ფურცელი

№ 1799 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 კვირა, 5 მაისი № 1799

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372·

ამ №-თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ სურათებიანი დამატების მე-39 ნომერი.

მზითევის დაზღვევა.

დამზღვევ საზოგადოებამ „რ უ ს ე თ მ ა“ გადაიხადა დაზღვეულ ქალთა სამზითვოდ

1888	წლიდან	1892	წლამდე	108	ახალგაზრდა	ქალთათვის	226,100	მან.
1893	„	1895	„	326	„	„	710,600	„
1896	„	1898	„	822	„	„	1.694,300	„
1899	„	1901	„	1.562	„	„	3.087,300	„

1 იანვ. 1902 წ. დაზღვეულია სამზითვო 29,742 ახალგაზრდა ქალისთვის 50.311,300 მ.

დაზღვევის სურვილის განცხადებას იღებენ და ყოველგვარ ცნობებს იძლევიან გამგეობაში ს.-პეტერბურგში (Большая Морская, собств. домъ, № 37). ტფილისის განყოფილებაში (სერგიევის ქუჩა, სახ. № 6) და საზოგადოების აგენტებისაგან რუსეთის იმპერიის ყველა ქალაქებში. (3—2)

კახური ღვინოების

უმთავრესი კონტორა

დ. ზ. სარაჯიშვილისა

ტფილისში.

4 აპრილიდან 1902 წლისა ქ. ტფილისში დაიწყო

მხოლოდ კახური ღვინოების

სპეციალური ვაჭრობა. ფასი იქნება 30 კაპ. დაწყებული ბოთლი და ვედრო 4 მანეთიდან. ერთბაშად ბევრის მსყიდველს და სამუდამო მუშტარს ღვინის ფასი დაეკლებათ. ვინც ათ ბოთლზე ნაკლებ არ მოითხოვს, იმას უფასოთ მიუტანენ სახლში.

ღვინოები იქმნება საკუთარის ვენახიდან კახეთში, სოფ. ბარკუციხეში და საკუთარის ვენახებიდან კახელ მემამულეებისა; ღვინის ყურის გდება და საზოგადოდ ამ საქმის წარმოება მინდობილი აქვს გამოცდილს და საქმის მცოდნე ღვინის მკეთებელს.

ღვინო გაიყიდება: ტფილისში: ა) დიდს საწყობში (გოლოვინის პროსპექტი, დობრჟანსკის სახლი, სახელმწიფო თეატრის პირდაპირ), ბ) დეპო № 1 (სასახლის ქუჩა, საკ. სახლი), გ) დეპო № 2 (ვორონცოვის მოედანი, სახლი ნარიმანოვისა) და დ) ტფილისის საუკეთესო გასტრონომიულს მაღაზიაში. ბაქოში: საკუთარს საწყობში. (5—4)

ექიმი

ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24. ტელეფონი № 642.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

პ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვების 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. ზ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. მოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- ტელეფონი № 274. (წლ.))

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საქმეთ: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუმაიევის სახლი.

„ივერიის“ ახალ გამომცემლობის გამო

პირველ მაისიდან გაზეთი „ივერია“ საამხანაგო გამომცემელთ ხელში გადავიდა. გაზეთის კერძო კაცის ხელიდან „ამხანაგობის“ განკარგულებაში გადასვლას განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს და ამ მნიშვნელობაზე ორიოდე სიტყვის თქმა გვინდა.

ბევრჯელ თქმულა და კიდევაც ითქმის, რომ თანამედროვე ხანა კაპიტალისტური ხანაა. ყველგან ფულია გაბატონებული, ფულის საშუალებით აწარმოვებენ არამც თუ ვაჭრობა-მრეწველობას, არამედ ხელოვნებას და მწერლობასაც-კი. ხელოვნება და მწერლობაც მრეწველობის დარგად გადაიქცა და კაპიტალიზმის დაღი აქვს დაჩნეული.

ამ რამდენიმე წლის წინად ფრანგულმა ჟურნალმა „Revue bleu“-მ მწერლობის პასუხის მგებლობაზე „გამოძიება“ მოახდინა და ამ კითხვის შესახებ სხვა-და-სხვა გამოჩენილ კაცებს დაეკითხა.

სხვათა შორის, ჟურნალ-გაზეთების კაპიტალიზმისაგან დამოკიდებულების შესახებ ცნობილმა სოციალისტმა ჟორესმა აი რა მოსაზრება გამოსთქვა: „ბეჭდვითი სიტყვა—საზოგადოებრივი წყობილების გამომხატველია. იგი იცვლება წყობილების შეცვლასთან ერთად. თუ თანამედროვე საზოგადოება ფულის ძლიერებაზეა აშენებული, როგორ შეიძლება, რომ ამ ძლიერებას ბეჭდვითი სიტყვაც არ დაემორჩილოს. ჩვენს დროში ჟურნალ-გაზეთების წარმოების საქმე, ე. ი. გამომცემლობა—წარმოების დარგად გადაქცეულა. ეს საქმე თანხას მოითხოვს და თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოების პროცესში შედის. ჩვენს დროში გაზეთი მარტო მკითხველის საზოგადოების საშუალებით ველარ ხეირობს· თუ ხელის მომწერლებზე დაამყარებს თავის იმედებს, გაზეთი დაიღუპება. ამიტომაც არის, რომ ყოველი გაზეთი გაცხარებულად დაეძებს განცხადებებს და რეკლამებს და სხვა ამგვარ შემოსავლიან წყაროებს. წაართვით გაზეთს ეს წყარო, იგი დაიღუპება. განსაკუთრებით ამ პირობებში სცოცხლობენ დიდი, გავლენიანი გაზეთები. ასე რომ დიდი და გავლენიანი გაზეთები ყოველთვის მსხვილ კაპიტალისტის ხელშია და ამ კაპიტალისტის ზნეობრივ ზედ-გავლენის ქვეშ იმყოფება. როგორიც არის თანამედროვე კაპიტალისტის ზნეობრივი სახე, ისეთივეა გაზეთიც—ამ კაპიტალისტის კანონიერი კუთვნილება“-ო *).

ასეთის შეხედულებისაა ჟორესი დასავლეთ ევროპის ჟურნალ-გაზეთების ვითარებაზე. ჟორესმა აღნიშნა გაზეთის დამოკიდებულება განსაზღვრულ საზოგადოებრივ წყობილებასთან და გაზეთის ფინანსიური მხარე ამ წყობილებას დაუქვემდებარა. ეს მოვლენა საზოგადო მოვლენაა. სადაც კაპიტალისტური წარმოება განვითარებულია.

ყველა ეს, ჯერ-ჯერობით, ჩვენ თითქმის არ შეგვეხება. ჩვენში კაპიტალისტური წარმოება ჯერ კიდევ განუვითარებელია და ამისათვის ჟურნალ-გაზეთობაც დღემდე კაპიტალის გავლენის ქვეშ არ არის ჩავარდნილი. ქართულ-გაზეთებს დღემდე ზარალის მეტი არა მოუტანია-რა გამომცემელისათვის, რადგან ჩვენი გაზეთი მხოლოდ ხელის-მომწერლების საშუალებით იბრუნებდა სულს. ჩვენ გაზეთს რომ უნდოდეს კიდევაც სხვა შემოსავლის წყაროების აღმოჩენა—(განცხადება, რეკლამა), ამ სხვა წყაროს ჯერ ხნობით ვერც იშოვნის, რადგან ქართული მრეწველობა ისეთი ნორჩია, რომ სამრეწველო განცხადებები მისთვის არც არის საჭირო. განცხადებებით უფრო რუსულ სიტყვებით დაბეჭდილი სომხური გაზეთები იკვებებიან.

მაგრამ თუ დღემდე საქმე ასე იყო, ხვალ აუცილებლივ შეიცვლება. ეს ცვალებადობა საზოგადო ცვალებადობის პირმშო შვილი იქმნება. ჩვენს ცხოვრებაში ეხლაც ვხედავთ იმგვარ ნიშნებს, რომელნიც მოწმობენ მრეწველობის სწრაფის ნაბიჯით ზრდას ჩვენს ქვეყანაში. მრეწველობის გაძლიერება საქართველოში ისეთივე გარდუვალი კანონია, როგორც აუცილებელია ძველის წესის დარღვევა.

თუ ეს ასეა, ამ მომავალ ხანას მომზადებულნი უნდა დაუხვდეთ. კერძოდ, ჟურნალ-გაზეთების სფერაში იმის ცდაში უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა ფულის ზედ-გავლენას არ დაუქვემდებაროთ. ამის ასაცილებლად ერთად-ერთი საშუალება გამომცემელ ამხანაგობის დაარსებაა. როგორც თანამედროვე მრეწველობაში წვრილ მესაკუთრეთა დაკავშირება და სამრეწველო და სამეურნეო სინდიკატების და ამხანაგობების დაფუძნება მსხვილ კაპიტალიზმის წინააღმდეგ საუკეთესო ფარ-ხმლად არის ცნობილი, ისე გამომცემელთა ამხანაგობების დაარსება და ბეჭდვითი სიტყვის წარმოების გასაზოგადოებრივება მომავალში მწერლობას იხსნის კაპიტალის მონობისაგან.

ამიტომ არის, რომ „ივერიის“ გამომცემელ ამხანაგობის დაარსებას, ჩვენის აზრით, თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს და ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით გამომცემელთა თაოსნობას.

გამომცემელ ამხანაგობების დაფუძნებას, ჩვენს პირობებში, სხვა ღირსებაც აქვს. თუმცა ჩვენს მხარეში თან-და-თან ფესვს იკეთებს კაპიტალისტური წარმოება, მხოლოდ ამ ჟამად ჩვენ ამ პროცესსის დასაწყისში ვართ და ამიტომ ხშირად ვერ ვპოულობთ სახსარს არამც-თუ ჟურნალ-გაზეთის დაარსებისათვის, სხვა პრაქტიკულ აშკარად მოგებიან საქმისათვისაც. გამომცემელთა ამხანაგობის საშუალებით-კი, პატარ-პატარა საწევრო გადასახადის შეერთებით, გაკეთდება საქმე და ამ მხრივადაც ფრიად სასიამოვნოა გამომცემლობის გასაზოგადოებრივობა.

არჩილ ჯორჯაძე.

საზღვარ-გარედ

გერმანია. ამ მოკლე ხანში გერმანიის კათოლიკების (ცენტრი) წლიური კრება მოხდა. მოწვეულთა შორის, ჩვეულებრივ, პოლონელების კლუბის წარმომადგენლებიც იყვნენ: თ. ფერდინანდ რაძივილი, კამერჰერი ცეგოლსკი და დოკტორი კომეროვსკი, სულ ისეთი პირები, რომელთაც, მიუხედავათ პოზნანელების სასტიკ დევნისა, დიდი კავშირი აქვთ სასახლის წრეებთან, რასაც სხვათა შორის ცეგოლსკის კამერჰერობაც ამტკიცებს. ბანკეტის დროს კათოლიკების პარტიის წარმომადგენელმა ციკლერმა (ბავარიელია) დალია სადღეგრძელო პოლონელების კლუბისა და, სხვათა შორის, სთქვა: „თუ დღეს შესაძლებელია ვილაპარაკოთ ჩვენის პარტიის დიდ გამარჯვებებზე, ეს უმთავრესად მიეწერება იმ გარემოებას, რომ პარტია ხელმძღვანელობდა პრინციპით—სიმართლის, თავისუფლებისა და კანონისათვის. ცენტრი ყოველთვის იმას სცდილობდა, თავისუფლება და უფლებები შეეძინა ყველასათვის გერმანიის იმპერიაში. რადგანაც პოლონელების კლუბსაც იგივე პრინციპები აქვს, ცენტრი მით უფრო მეტის გულმოდგინებით მუშაობს მასთან ერთად. ყველა აქ დამსწრეთ სურვილია, რომ ეს მეგობრული კავშირი შემდეგშიაც დარჩეს“.

საპასუხო სიტყვაში თ. რაძივილმა მადლობა გადაუხადა ორატორს სადღეგრძელოსათვის და სთქვა, რომ ცენტრსა და პოლონელების კლუბს აერთებს ხანგრძლივი მეგობრობა. ამ უკანასკნელ დროს სცდილობენ ჩვენს წაჩხუბებასო, მაგრამ იმედია ეს ცდა უნაყოფოდ ჩაივლისო. არც ერთ ფაქტს ისე არ უტკენია გული ორატორისათვის, როგორც ცენტრსა და პოლონელებ შორის ჩამოვარდნილ გულ-გრილობას. მაგრამ მას იმედი აქვს, რომ ძველი მეგობრობა არ დაირღვევა და ორივე დასი ერთად განაგრძობს ბრძოლას სიმართლის, თავისუფლებისა და უფლებისათვის.

გერმანელი კლერიკალები, როგორც ფრანგებიც, ეხლა თავისუფლებისა და სიმართლის დამცველები გამოდიან მხოლოდ იმიტომ, რომ ცბიერობით მთავრობა ხელში იგდონ და შემდეგ ბოლო მოუღონ თავისუფლებასაც და უფლებასაც. კლერიკალებს თავისუფლება და უფლება მარტო თავისთვის სურთ; სხვები კი მათ კატეხისმის მიხედვით უნდა სცხოვრებდნენ და ჰფიქრობდნენ.

ეს ყველასათვის ცხადია და ამიტომ საზოგადოების დაწინაურებული ნაწილი, რომელიც მართლა ემსახურება თავისუფლებისა და უფლების განმტკიცების საქმეს, ყოველთვის ებრძვის კლერიკალებს. და თუ პოლონელების კლუბს აქამდე კავშირი ჰქონია მასთან, ეს იმიტომ მოხდა, რომ, ჯერ ერთი, კათოლიკები პოლონელების ეროვნულ სარწმუნოებას იცავენ პრუსიაში გაბატონებულ შეომარ პროტესტანტისმის წინააღმდეგ და მეორეც პოლონელების კლუბი თვითონ რეტროგრადული და ნამდვილ თავისუფლება-უფლების წინააღმდეგია. თ. რაძივილი, კამერჰერი ცეგოლსკი და ამათი დამქაშნი ისეთი ხალხია, რომ პოლონელ ხალხის ყოვლად უსამართლო დევნა და შევიწროება სრულებით ხელს არ უშლის პრუსიის მთავრობასთან კარგ განწყობილებაში იყვნენ და მათგან ჩინები და ორდენები მიიღონ. იმას ვერ ვიტყვით, რომ ეს პირები მოკლებული იყ-

---

*) Вѣст. Иност. Лит. 1898 г. Январь.

ვნენ ეროვნულ გრძნობას: ეს გრძნობა იმდენად ძლიერია ყოველ ადამიანში, რომ ერთი-ორი თუ გამოერევა ხალხში ისეთი მახინჯი, რომელსაც ეს გრძნობა აკლია. მაგრამ ამ „უგოლდოვანც"-ებში ეს გრძნობა იმდენად ძლიერი არ არის, რომ პირდაპირ გაჭირვებულთა მხარეს გადავიდეს და მათ რაზმში ჩამდგარი მტერს მტრულად დაუხვდეს. ამიტომაც არის, რომ პოლონელ დეპუტატების მოღვაწეობა პრუსიის ლანდტაგში ყოვლად უფერული და უღონოა.

მეორე მიზეზი პოლონელ დეპუტატების უღონობისა ცენტრთან კავშირია. ცენტრი, როგორც ნათქვამი იყო, იმდენათ ემხრობა პოლონელებს, რამდენათ პოლონელები კათოლიკებია. მაგრამ ამასთანავე ცენტრი გერმანული პარტიაა და, როგორც ეგეთი, იგი წინააღმდეგია პოლონელების ეროვნულ მისწრაფებათა. რაძივილებსა და ცეგოლსკებს, რომელთა ეროვნული იდეალი მეტად ვიწრო ფარგლისაა, ეს არ სჯეროდათ და ცენტრს ყოველთვის გვერდში უდგნენ.

თუ პოლონეთის ასეთ მამულის შვილებს ჭკუის სწავლა შეუძლიათ, ცენტრმა საუკეთესო მაგალითი მისცა მათ თავიანთ მეგობრულ განწყობილებისა პოლონელებისადმი.

ხსენებულ ბანკეტის რამდენიმე დღის შემდეგ პრუსიის ზემო პალატაში ცენტრის წარმომადგენელმა გრ. გენსბერხმა აღნიშნა ის გარემოება, რომ ვესტფალიის პოლონელ მუშებ შორის მეტად ვრცელდება სოციალისტური ქადაგება, და მოითხოვა, რომ მთავრობამ გაგზავნოს ამ მხარეში კათოლიკე მღვდლები და ჯამაგირი დაუნიშნოს მათ, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს სოციალისტების პროპაგანდას. მაგრამ გრაფმა ამასთანავე მოითხოვა, რომ არას გზით მღვდლები პოლონელები არ იქნენ, რადგან ესენი იქ პოლონურ აგიტაციას გადაიტანენო. გრ. გენსბერხმა ასე დაამთავრა თავისი სიტყვა: „ჩვენ, გერმანელ კათოლიკებს, გვაერთებს პოლონელებთან ეკლესია, მაგრამ ვოლიტიკაში კი მე აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია ჩვენი ინტერესების განცალკევება, სანამ პოლონელების პოლიტიკური გრძნობა ჩვენსას არ დაემზგავსება".

დანარჩენი გერმანელები, რასაკვირველია, ალტაცებით მიეგებნენ ცენტრის წარმომადგენელის ასეთ განცხადებას.

ისწავლიან კი ჭკუას რაძივილები და ცეგოლსკები?

ახალი ამბავი

◆ დღეს, 5 მაისს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში მოხდება საგანგებო კრება ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა. დღესვე მოხდება ამგვარი კრებები: გორში—გორის მაზრის თავად-აზნაურთა და თელავში—თელავის მაზრისა.

◆ ქართულ თეატრის ფოიეში დღეს, დილის 10 საათზე, დანიშნულია ტფ. **სამარხი კასის** წევრთა საზოგადო კრება.

◆ საქართველოს სამრევლო სკოლების ოლქის ზედამხედველი დეკანოზი **ვოსტორგოვი** ამ ჟამად იმყოფება სამეგრელოში იქაურ სამრევლო სკოლების დასათვალიერებლად.

◆ გუშინ, 4 მაისს, **პირუტყვთა მფარველ** ტფ. საზოგადოების გამგეობამ გადაიხადა პარაკლისი საზოგადოების დაარსებიდან 25 წლის შესრულების აღსანიშნავად; ამასთანავე აკურთხეს და ჩაყარეს საფუძველი იმ შენობისა, რომელსაც თავის ხარჯით აგებს საზოგადოება და სადაც მოთავსებული იქნება საზოგადოების გამგეობა. პარაკლისს დაესწრნენ: ტფილისის ქალაქის თავის მოადგილე, მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი სულთან-კრიმ-გირეი, საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე კამენდანტი გენ. რეიტერი, საზოგადოების წევრნი და გარეშე ხალხი. ამ დღესასწაულის გამო გამგეობამ დეპეშები გაუგზავნა საზოგადოების საპატიო წევრებს დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს, სპარსეთის შაჰსა და ბუხარის ემირს.

◆ ბათუმიდან გვწერენ, რომ აქაური **ნავთის ქარხანა როტშილდისა** ამ დღეებში აპირებს ხელ-ახლა მუშაობის დაწყებას. ქარხნის წინანდელი მმართველი ბატ. ვანშეიდტი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან და კიდეც წავიდა ბათუმიდან. ქარხნის საქმეები დროებით ჩაებარა ბატ. გიოს, რომელიც წინად მსახურებდა ქალ გროზნაში, ნავთის ქარხნებში; ამასთან, ჩამოვიდა როტშილდის ბაქოს ქარხნების მმართველი ბატ. ფციგინი, რომელმაც გამოითხოვა მთავარ-მართებლისაგან ნებართვა, ძველ მუშებს მისცემოდათ ნება ბათუმში დაბრუნებისა და ქარხანაში მუშაობისა. ამ ხანად კაცები ჰყავთ დაგზავნილი, რომ ძველი მუშები ისევ დაიბრუნონ, ჩამოიყვანონ სოფლებიდან და სამუშაო მისცენ.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ იმპერატორის ალექსანდრე მესამის მუზეუმში პეტერბურგში იხსნება ფართო განყოფილება **აზიურის საოჯახო მრეწველობისა.**

◆ საგუბერნიო ადმინისტრაციასთან წარდგენილის ხმოსნების ამომრჩეველთა სიებიდანა სჩანს, რომ სიებში მოქცეულია **სულ** 3, 176 **ამომრჩეველი.** საარჩევანო უბნების მიხედვით ასე გაიყოფიან: პირველს უბანში—1,096 კაცი, მეორეში—938 და მესამეში—1,142 კაცი. საქალაქო დებულებით უნდა ამოირჩიონ: პირველს უბანში 28 ხმოსანი და ხუთი კანდიდატი, მეორეში—24 ხმ. და ხუთი კანდ., მესამეში—29 ხმოსანი და ექვსი კანდიდატი.

◆ გუშინ ტფ. ქალაქის გამგეობამ გაუგზავნა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ბ-ნ ზავადსკის ქალაქის საბჭოს შუამდგომლობა **ავლაბარში სავაჟო პროგიმნაზიის** დაარსების შესახებ.

◆ გუშინ, 4 მაისს, ტფ. სამოსამართლო პალატას უნდა განეხილა ჩვენის გაზეთის „ცნ. ფურცლის" შესახები საქმე. სახელდობრ, გაზეთის ყოფილის რედაქტორის ა. მ. ჭყონიას საჩხერის ქსენონის ექიმი მ. ლორთქიფანიძე უჩივის (დიფამაციის წესით) შეურაცხების მიყენებას დ. საჩხერიდან მოწერილ კორესპონდენციის დაბეჭდვით. სამოსამართლო პალატაში ამ საქმის გამო დაბარებულნი იყვნენ მოწმეებად თვით ექიმი ლორთქიფანიძე და ბ. აბაშიძე. რადგანაც მოწმენი არ გამოცხადდნენ, პალატამ გადასწყვიტა საქმის გადადება შემდეგ დროისთვის და ამასთანავე, რადგანაც საქმე მოწმეების დაუსწრებლობის გამო ვერ იქმნა განხილული, დააჯარიმა იგინი თითო 25 მან. გადახდევინებით.

◆ კრწანისის უბნის მცხოვრებლებმა ერთხმად იჩივლეს ტფილისის გუბერნატორთან ქალაქის გამგეობაზე, რომელმაც ნება დართო ერთ სახლის პატრონს შენობის აგებისა **სამშენებლო წესდების წინააღმდეგ**, რითაც მცხოვრებლები შევიწროებულნი არიან, და ითხოვენ განკარგულებას, რომ შენება შეაჩერონ.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზების უფროსმა ინჟენერმა ივანოვსკიმ აღძრა შუამდგომლობა გზათა მინისტრის წინაშე, რკინის გზის საქალაქო სასწავლებლის **საკუთარის შენობის აგებად** გადაიდოს 140,000 მანეთიო.

◆ ექიმის ოდნოსუმოვისს ქვრივმა ამიერ კავკასიის საბებიო ინსტიტუტის დირექტორს გადასცა 5,000 მან. და სთხოვა, დააარსონ უფასო კრაოტი იმისი განსვენებული ქმრის, **ექიმის ოდნოსუმოვის სახელობაზე**, გარდა ამისა, ქალმა განაცხადა, რომ ის აიყვანს ერთს მიგდებულ ბავშვს აღსაზრდელად.

◆ გუშინ, 4 მაისს, ტფ. ქალაქის გამგეობამ, ქალაქის საბჭოს გარდაწყვეტილების თანახმად, დასამტკიცებლად წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს ხოსროევის ნაცვლად ქალაქის **გამგეობის წევრის თანამდებობაზე** ამორჩეულთაგან ქალაქის სასანიტარო-სამკურნალოს ინსპექტორი გ. ნ. სტეფანოვი.

◆ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა, თანახმად სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წარდგენისა, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის წევრების წოდებაში დაამტკიცა საზოგადოების მხრივ **ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი და ა. ევანგულოვი**.

◆ მირზოევის ქუჩის მცხოვრებლებმა, რომელთაც არა ერთხელ მიმართეს ქალაქის თვით-მმართველობას, რომ ხსენებული ქუჩა **ქვით მოეკირწყლათ,** მაგრამ არავითარი პასუხი არ მიიღეს დღემდის, ეხლა საგუბერნიო ადმინისტრაციას მიმართეს თხოვნით, რომ იმან დაავალოს ქალაქის თვით-მმართველობას, შეუსრულონ თხოვნა მცხოვრებლებს.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ ნაგორნიდან იტყობინებიან, რომ სამს მაისს საქონლის მატარებელი № 113 იძულებული შეიქნა გაჩერებულიყო **აუარებელი კალიის გამო,** რომელიც ლიანდაგზე სქლად მოფენილიყო. იძულებულნი შეიქნენ მატარებელი ორად გაეყოთ და თითო ნაწილი მოეტანათ სადგურზე.

◆ კომისია, რომელმაც უნდა დაათვალიეროს **ამიერ-კავკასიის რკინის გზები**, გზის უფროსის ინჟენერ ივანოვსკის თავმჯდომარეობით გაემგზავრება ტფილისიდან 14 მაისს. გზის დათვალიერებას შეუდგებიან ბაქოს ნაწილიდან.

◆ მივიღეთ „ქუთათურ ამხანაგობის" ახალი გამოცემა „პაწია და ბუნგლია" სურათებიანი მოთხრობა ვ. ი. დიმიტრიევისა, თარგმანი დ. ავალიანისა; ეს მოთხრობა დაჯილდოვებულია ფრებელის საზოგადოებისაგან. ფასი 6 შაური.

მანთაშევის ქარხანაში გაძლიერებული მუშაობაა; ამ ხანად მუშათა რიცხვი ათას ორასამდინაა,—წინად კი რვაასი იყო.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე გამოცხადებულია, რომ, სამხედრო უწყებასთან შეთანხმებით, სამხედრო მოხელეთ, რომელთაც ეძლევათ სამხედრო მოწმობა ჩვეულებრივის მატარებლებით სიარულისა, ნება მიეცათ იმოგზაურონ იმ მატარებლებით და ვაგონებით, რომლებისთვისაც დაწესებულია **ფასის დამატება სისწრაფის გამო** ანუ ვაგონში ნომრით აღნიშნული ადგილის დაჭერისთვის, მხოლოდ იმ პირობით, რომ აღნიშნულნი სამხედრო პირნი ვალდებულნი არიან, ნაღდი ფულით შეიძინონ შესაფერი ბილეთები როგორც სწრაფი სიარულისა, აგრეთვე ნომრიანის ადგილისა; ფასი უნდა გადაიხადონ სრულის ტარიფით.

◆ რამდენიმე ხნის წინად ტფ. ქალაქის გამგეობამ სთხოვა ტფ. სამოსამართლო პალატას ქვემო ავჭალაში **ქალაქის მიწების** გამიჯვნა და ზოგიერთ უკვე გამიჯნულ მიწების სამიჯნო ნიშნების გასწორება, რადგანაც ზოგან ისე გაფუჭებულან ნიშნები, რომ ადვილად შეიძლება ქალაქის მიწების მისაკუთრება. ამ დღეებში გამმიჯვნელ საკრებულომ შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ქვემო ავჭალის მიწების გამიჯვნა მას ჯერ არ შეუძლიან სამუშავრების სირთულისა გამო, ხოლო, რაც შეეხება სამიჯნო ნიშნების გასწორებას, საკრებულო სთხოვს გამგეობას შეატყობინოს უფრო დაწვრილე-

ფელეტონი

ბუნება

(გიოტედან)

ბუნება! ის ჩვენ გარს-გვეცმის და გვშთანთქავს; ჩვენ არ ძალ-გვიძს არც გავიდეთ მისაგან, არც ჩავსწვდეთ მის უფსკრულს. დაუკითხავად გვითრევს იგი თვის რითმის ტრიალში და თავის თავთან ერთად გვიტაცებს მანამდის, სანამ ჩვენ, დაღლილნი, მის ხელს არ მოვსწვდებით.

ის ყოველთვის ჰქმნის ახალ-ახალ სახეს; ის, რაც რომ არსებობს, არასოდეს არ არსებობდა; ის, რაც იყო, არასოდეს არ დაბრუნდება: მასში ყველაფერი ახალია და ამასთანავე ყველაფერი რჩება ძველად.

მგონი, მან ყველაფერი დაადო ინდივიდუალობას, მაგრამ არაფერს არ ჰქმნის პიროვნებისაგან. ის მარადის აშენებს და არღვევს. მისი სახელოსნო მიუწდომელია...

მთელი მისი სიცოცხლე მის ქმნილებაშია. მაგრამ სად არის თვითონ დედა?!

თითქო რბილ სახურავ-ქვეშ მიმალული ის უბრალო მატერიისაგან ძალა-უნებურად ჰქმნის დიად წინააღმდეგობას, უზენაეს სისრულეს, ნამდვილ განსაზღვრულებას. ყოველ მის ქმნილებას აქვს საკუთარი არსებობა, ყოველ მის მოვლენას—საკუთარი მცნება. მაგრამ მასში ყველაფერი ერთობაა...

მასში საუკუნო სიცოცხლეა და მოძრაობა, მაგრამ ის მაინც წინ არ მიდის. ის ყოველთვის ჩნდება ახალ სახეში და ერთს წამსაც არ შეჩერდება. მას არ აქვს წარმოდგენა უძრაობისა, რომელსაც ის წყევლა-კრულვით სდევნის. ის შეურყეველია: მისი სვლა ზომიერია, გამონაკლი—იშვიათი, კანონი—უცვლელი...

ის ნებას აძლევს ყოველ ბავშვს იაზროვნოს და ყოველ უგნურს იმსჯავროს მასზე; ათასობით გადაივლიან მას, რომ ვერაფერი შეამჩნიონ; მაგრამ ის ყველას უხარის, და ყველა ნახულობს მასში თავის დანიშნულებას.

ჩვენ ვემორჩილებით მის კანონებს მაშინაც კი, როცა მათ ვეწინააღმდეგებით; ჩვენ ვმოქმედობთ მასთან ერთად მაშინაც კი, როცა გვინდა მის წინააღმდეგ ვიმოქმედოთ. ყველაფერს, რასაც კი გვაძლევს, ის აქცევს კეთილის ყოფად, რადგან თვის საჩუქარს ჰქმნის აუცილებლად. ის ჰყოვნობს რომ მას გამოსთხოვონ; ის იჩქარის, რომ აიცილოს გაფროვანება.

იმას არ აქვს არც ენა, არც სიტყვა, მაგრამ ჰქმნის ენასაც და გულს, რომლითაც ის ლაპარაკობს და გრძნობს. მისი გვირგვინი სიყვარულია. მხოლოდ სიყვარული გვაახლოვებს ჩვენ მასთან. ის ჰქმნის უფსკრულებს ყველა არსებათა შორის და სურს ყველაფერი თვითონვე შთანთქას. ის ყველაფერს ანაწილებს, რომ ყველაფერი შეაერთოს. ორი ყლაპისათვის სიყვარულის ფიალისაგან ის თანახმაა შეურიგდეს მრავალ-წამებულ სიცოცხლეს.

ის ყველაფერია. ის თავისთვის ჯილდოცაა და სასჯელიც, სიხარულიც და წვალებაც. ის მკვირცხლია და რბილი, მყუდრო და საშიშარი, უძლური და ყოვლის-მძლე. ყველაფერი მარადის არსებობს მასში. მან არ იცის არც წარსული, არც მომავალი. აწმყო მისთვის მარადისობაა. ის გულ-კეთილია. მე მას ვაქებ-ვადიდებ მის ქმნილებაში. ის ბრძენი და მშვიდია. მას ვერ გამოსთხოვ ვერაფერ ახსნას და საჩუქარს, თუ თვითონ არ სურს. ის ხერხიანია—მაგრამ კეთილის მიზნით, და სულ უკეთესია არ ვამჩნევდეთ მის ხერხიანობას...

ის მთელია, მაგრამ არასოდეს არ დასრულებულა. მას შეუძლია ყოველთვის იმოძრაოს ისე, როგორც ახლა მოძრაობს... ის ყველას წინ ჩნდება ახალი სახით, ის იმალება ათას სხვა-და-სხვა სახელში, და მაინც ყოველთვის ერთი და იგივეა...

მან შემიყვანა თავის სამეფოში და ისევე გამიყვანს მე მისგან. მე ვენდობი მას. დეე, მან განმაგოს მე: ის არ შეიძულებს თავის ღვიძლ ქმნილებას. მასზე ამას მე არ ვამბობ: არა, ჩემს სიტყვებში, როგორც ჭეშმარიტება, ისე ცდომილება, მას ეკუთვნის. ჩვენ ყველაფერში უნდა ვამტყუნოთ იგი, როგორც ყველაფერში უნდა ვხედავდეთ მის ღვაწლსა.

გრ. რობაქიძე

პირველი მაისი

(მოგონება სკოლის ცხოვრებიდან)

ჩვენი სკოლის შეგირდებისთვის პირველი მაისი სწორედ მეორე აღდგომის დღე იყო: თავისუფლებას გარდა, ამ დღეს იმართებოდა საერთო სადილი მინდორში და მთელ დღეს თამაშობაში და მხიარულებაში ვატარებდით, რასაც „რეკრიციას" ვეძახდით.

მეთაურობდნენ ყოველთვის უკანასკნელი კლასის პირველი მოწაფეები. სადილისთვის ფული ზოგს მანათი მოჰქონდა, ზოგს ათი შაური—შეძლებისადა გვარად. მაინც კიდევ ოცდა-ათ-თუმნამდის გროვდებოდა, რადგანაც შეგირდები ჩვენს სკოლაში ბლომად იყვნენ.

საქეიფოდ ერთი ადგილი გვქონდა არჩეული, მშვენიერი ჭალა რიონის მარჯვენა ნაპირზე, სადაც „ფერმა" არის. აქ იკრიბებოდნენ პირველ მაისს ჩვენი სკოლის ყველა შეგირდები. სადილისათვის ყველაფერი წინათ იყო ნაყიდი ან შეკვეთილი. 12-ს საათზე იმერული გრძელი სუფრები გამართული იყვნენ დიდრონი ხეების ჩრდილში და სადილიც დამზადებული.

ამის შემდეგ ვგზავნიდით რჩეულ მოწაფეთა **დეპუტაციას** სკოლის უფროსთან და მასწავლებელთან დასაპატიჟებლად. მაგრამ იმათაც იცოდნენ, რომ პირველ მაისს ჩვეულებრივ სადილი იმართებოდა და ამიტომ ყველანი ღიმილით ეგებებოდნენ ჩვენს დეპუტაციას და სიამოვნებით გვეწვეოდნენ ხოლმე. სადილობამდის ნაცელქარი დამშეული ბავშვები მოუთმენლად ელოდნენ ძვირფასს სტუმრებს. მოვიდოდნენ თუ არა, მოვუსხდებოდით სუფრას და გაიმართებოდა ლხინი. სადილის შემდეგ იწყებოდა საერთო დროს გატარება: ცეკვა, თამაში და სიმღერა. მაგრამ ყველაფერზე უფრო სასიამოვნო

ბითი ცნობები, თუ რომელ ადგილების ნაჭრებს სჭირდება აღნიშნულ ნიშნების გასწორება.

◆ გუშინ, 4 მაისს, ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ტფ. ქალაქის გამგეობას, წარუდგინოს მას, თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტის მოთხოვნისა, **ანგარიში**, თუ როგორ იქმნა შესრულებული ქალაქის გამგეობისაგან წასულ 1901 წლის ქალაქის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა.

◆ პირველ მაისიდან ამა წლისა ახალი წესები შემოიღეს ამიერ-კავკასიის საბებიო ინსტიტუტში **მიგდებულ ბავშვთა გაზარებაზე** გასაზრდელად; ამ ახალის წესებით ინსტიტუტი უმატებს ძიძებს ბავშვების შესანახ ფულს. ძუძუ-მწოვარა ბავშვის აღსაზრდელად ძიძას უნდა მიეცეს თვეში ცხრა მანეთი, ხოლო მოზრდილი ბავშვების შესანახად შვიდ წლამდის—ექვსი მანეთი თვეში. უკეთუ შვიდი წლის შემდეგ ვინმე ისურვებს ბავშვის წაყვანას თავისთან აღსაზრდელად, იმან ბანკში უნდა შეიტანოს ერთხნობით წინათვე ხუთი თუმანი, ხოლო, როდესაც აყვანილს (ქალს) გათხოვების დრო მოუვა, მზითვად უნდა მისცეს 100 მანეთი.

◆ გუშინ ტფ. სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ქუთაისის მაზრის სოფელ მესხეთის მცხოვრების კირილე შალამბერიძისა, რომელსაც თავის მამის—დიმიტრის—ნაჯახით მოკვლა ბრალდებოდა. ქუთაისის ოლქის სასამართლოს ეს მკვლელობა უცვნია შემთხვევითად და ბრალდებულ კირილე შალამბერიძისათვის მუსაჯნია ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში სამ ნახევარის წლის ვადით გაგზავნა. ამაზე პროტესტი განუცხადებია სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგს მალინოვსკის, რომელიც პალატას სთხოვს დაისაჯოს შალამბერიძე, როგორც შურის მძიებელი, ყოველივე ღირსების ახდით და კატორგაში უვადოდ გაგზავნით. სამოსამართლო პალატამ გუშინ გადასწყვიტა გაუქმდეს ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება და მიესაჯოს შალამბერიძეს ყოველივე ღირსებათა ჩამორთმევა და მადნის სამუშევრებში 12 წლის ვადით გაგზავნა.

რუსეთის ქრონიკა

∝ თავის დროზე აღნიშნული გვქონდა, რომ წელს სამხედრო საექიმო აკადემიაში რეალისტებსაც მიიღებენ. ახლა ოფიციალურად გამოცხადდა, რომ აკადემიაში მისაღებ სტუდენტებიდან წელს 75% გიმნაზიელი უნდა იყოს, ხოლო 25% რეალისტი. რეალისტებიდან უპირატესობა მიეცემა იმათ, ვინც მოწმობას წარმოადგენს, რომ პროგიმნაზიის პროგრამით ლათინური ენა იცის.

∝ 15 მაისიდან ფინანსთა სამინისტრო აწესებს ახალს ტარიფს რუსეთის ყველა რკინის გზებზე გადასაზიდავ საქონელზე. ახალი ტარიფი (მე-5 გამოცემა), მართალია, ბევრ ცვლილებას ახდენს, მაგრამ იმდენად მცირე მნიშვნელობისას, რომ ახალი ტარიფი ძალიან არ განსხვავდება აწ არსებულისაგან.

∝ გზათა სამინისტრო აპირებს ახლო მომავალში შეუდგეს რკინის გზის მოხელე-მსახურთათვის სამკურნალო სანატორიის აშენებას. სანატორიისათვის ადგილი არჩეული იქნება ან ყირიმში ან კავკასიაში.

ბათუმის ქალაქის საბჭო

(29 აპრილის სხდომა)

მორიგ საქმეთა განხილვამდის საბჭოს თავმჯდომარემ, თავ. ი. ანდრონიკაშვილმა, აუწყა საბჭოს შინაარსი იმ ქაღალდისა, რომელიც ქალაქის გამგეობამ მიიღო სავაჭრო ზღვაოსნობის კომიტეტისაგან და რომელიც შეეხება სანავთსადგურო შემოსავლის გაწესრიგებას. კომიტეტმა აცნობა გამგეობას, რომ ქალაქს ნება ერთვის გასწიოს შემდეგი ხარჯი სანავთსადგურო შემოსავლიდან: გემების მისადგომებთა შეკეთებისათვის—1200 მან.; მისავალ გზების შეკეთებაზე—8000 მან.; ელექტრონით განათებაზე შიდა პორტში—12,000 მან. და იმის რემონტისთვის და შენახვისთვის, რაც გაკეთებულია ჭაობიან ადგილების დასაშრობად—10,000 მან.; ამასთანავე კომიტეტმა აუწყა გამგეობას, რომ სრულიად უარყოფილია სანავთსადგურო შემოსავლიდან შემდეგ ხარჯების გაწევა, რომელთაც ქალაქი თხოულობდა: გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს შესანახავად—2155 მან.; ტროტუარების რემონტი—3000 მან.; საავადმყოფოს შესანახავად—17,380 მან. და ჭაობიან ადგილების დაშრობის საქმის დასამთავრებლად—125,425 მან.; ყოველივე ამაზე საბოლოოდ უარი ეთქვა ქალაქს; ამას გარდა ქალაქი თხოულობდა: „პეტერბურგის ქუჩის დაყოლება ბეტონის მილის გასაკეთებლად—12,725 მან.; ლოზენსენსკისა და პუშკინის ქუჩების მოსაკირწყლავად და ზედ ტროტუარების დასაგებად—95,193 მან; წყლის გამოსაყვანად—450,000 მან. და ქუჩებისათვის საჭირო მიწების შესასყიდლად—42 310 მან. ამ უკანასკნელ ხარჯების გამორკვევა გარდაეცა ადგილობრივ სანავთ-სადგურო საკრებულოს, რათა გამოსთქვას, თუ რამდენად ეს ესაჭიროება ქალაქს, და თავისი აზრი აცნობოს კომიტეტს.

შემდგომ ამისა საბჭოს მოხსენდა ქუთაისის გუბერნატორის წინადადება, რომ ქალაქმა ააშენოს თავლა კაზაკთა ქალაქის თავმა აუწყა საბჭოს, რომ ქალაქი არ არის გადებული კანონით გასწიოს ხარჯი ამგვარ ჯარის ბინისათვის, მაგრამ თანვე აუწყა, რომ მას ჰქონდა მოლაპარაკება ბ. გუბერნატორთან და მან პირობა დაუდვა, რომ ამ თავლების ასაშენებელ საჭირო ფულს გადიხდის ან ხაზინა ანა და ობლიგაციონური სესხიდან გადიხდება, ოღონდ-კი ახლავე ააშენეთ ეს თავლებიო. თავლები ჯდება: თუ რაზმები დიდხანს დარჩებიან ბათუმში—8000 მან.; თუ მოკლე ხანს იქნებიან, მაშინ მჩატე შენობა აიგება და მოუნდება 4000 მან. საბჭომ გადასწყვიტა, გამგეობა შეეკითხოს გუბერნატორს, თუ რამდენს ხანს იქნება რაზმები ბათუმში და მიღებულ პასუხის მიხედვით აგებულ იქმნან თავლებიც.

ქუთაისის გუბერნატორის წინადადებითვე, საბჭომ გადადო 200 მან. ცეხჰაუზის დასაქირავებლად იმ ჟანდარმთა კამანდისათვის, რომელიც ახლა შეემატა აქაურ ჟანდარმთა რაზმს.

„ცნობის ფურცლის" მკითხველთ ეხსომებათ, რასაკვირველია, რომ ბათუმმა ააშენა დიდი ახალი საავადმყოფო ას-ოცი ავადმყოფისათვის. ქალაქის აზრით, საავადმყოფო უფასო უნდა ყოფილიყო, ხოლო მის შესანახ ფულს, იმედი ჰქონდა, სანავთსადგურო შემოსავლიდან გადადებდა; მაგრამ ამ ხანად გარემოება იცვალა; ამ ფულს ქალაქს აღარ აძლევენ და ამიტომ საბჭომაც გადასწყვიტა, ავადმყოფებზე გადასახადი დაენიშნა. ამ ხანად გადაწყვეტილია საავადმყოფო გახსნას ჯერ-ჯერობით სამოცი საწოლით; თვიურს გადასახადს ავადმყოფზე ყოველ წლობით გადასწყვეტს ხოლმე საბჭო; ეგ იმისათვის, რომ თუ საავადმყოფოს შესანახავად საჭირო ფულზე (16.000 მან.) მეტი შემოუვიდა, მეორე წლიწადს ნაკლები გადასახადი დაადგინოს ავადმყოფზედ. საავადმყოფო ექვემდებარება უფროს ექიმს, რომელსაც ეყოლება რამოდენიმე უმცროსი ექიმი, რომელთ მიწვევა დამოკიდებული იქმნება ამ უფროსი ექიმისა და საქალაქო გამგეობისაგან. როცა საავადმყოფოს სახსარი მიეცემა—მას ექნება უფლება გახსნას თავისი საკუთარი აფთიაქი; ახლა კი წამლებს იგი იხარჯებს კერძო აფთიაქიდან. შემდეგში ქალაქი საწოლებსაც მიუმატებს და ას-ოცამდის შეასრულებს. მაშინ საავადმყოფოს შენახვა დაჯდება, გამგეობის გამოანგარიშებით, 26.000 მან.

ამ ხანად ქალაქში მუშაობს ორი დამფასებელი კომისია. ერთმა მათგანმა გამგეობაში განცხადება შემოიტანა, რომ ზოგიერთი წესი იმ ინსტრუქციისა, რომლით ხელმძღვანელობა გამგეობისაგან ნაბძანები აქვთ მათ, კომისიის აზრით შეცვლას თხოულობენ; მაგალითად, შორს განაპირა ადგილებში აგებულ შენობას, რომელთ ნაკლები შემოსავალი აქვთ, მეტი გადასახადი ხვდებათ შედარებით იმ შენობებთან, რომელიც შუაგულ ქალაქში იმყოფებიანო. კომისიის მოსაზრება არ იქმნა მიღებული, რადგან საქალაქო დებულება ამგვარ გარჩევის ნებას არ იძლევა.

მაისისთვის დატოვებულ იქმნა ძველი ნიხრი ხორცზე: 1-ლ ხარისხისაზე 11 კაპ., მე-2 ხარისხისაზე 10 კაპ.

შემდგომ მისა ქალაქის თავმა გააცნო საბჭოს საგანგებო კომისიამ პროექტი, თუ როგორ აღნიშნოს ბათუმმა 25 წლის რუსეთთან შეერთების დღე, რაც იქნება 15 აგვისტოს 1903 წელს. კომისიას საუკეთესოდ უცვნია, ქალაქმა ააშენოს თეატრი და გახსნას სახალხო ბიბლიოთეკა. კომისიის აზრით, თეატრის აგება მოითხოვს 122.000 მან.; წლიური შემოსავალი ნაანგარიშევი აქვს 13.650 მან. (სხვათა შორის 130 წარმოდგენა, თითოსაგან თეატრის ქირა—90 მან.); აქედან შენობის ხარჯის დასაფარავად გადიდება ყოველ-წლობით—8625 მან. სახალხო ბიბლიოთეკისათვის ხარჯი ნაანგარიშევია 3000 მან., შემდეგში კი ყოველ-წლიური—2000 მან.

ეს წინადადება თავდაპირველად განიხილა და დაამტკიცა გამგეობამ, მხოლოდ თავის მხრით დართო, რომ, თეატრისა და ბიბლიოთეკის გარდა, ამ დღესასწაულს აღსანიშნავად აგებულ იქმნას აგრეთვე ერთი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი ქალაქის იმ უბანში, სადაც მეტ ნაწილად მუშა ხალხი ცხოვრობს. ამასთანავე კომისიას აქვს ნახსენები, რომ თეატრში უსათუოდ დაბალი ფასები იქმნას ადგილებზე, რათა მუშა და ხელ-მოკლე ხალხსაც ღონე მიეცეს არ მოაკლდეს გონიერ გასართობს.

თეატრი აგებულ უნდა იქმნას ნურიის მოედანზე. საბჭომ ყოველივე ეს, მცირე კამათის შემდეგ, დაამტკიცა.

სასოფლო სამეურნეო საზოგადოების კრება

3 მაისს, საღამოს 8½ საათზე, უგ. თავ. პ. ა. გრუზინსკის თავმჯდომარეობით შესდგა კრება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრებისა.

თავმჯდომარემ აცნობა საზოგადოებას მიწადმოქმედების სამინისტროს მოწერილობა იმის შესახებ, რომ სამეურნეო საზოგადოებამ თავისი აზრი წარმოადგინოს სპეციალურ სატეხნიკო ცოდნის გაძლიერებისა და გავრცელების შესახებ.

კრებამ გადასწყვიტა ამორჩეულ იქმნას სამის კაცისაგან კომისია, რომელმაც აღნიშნულ საკითხის შესახებ ახლო მომავალში საზოგადოებას უნდა წარუდგინოს შესაფერისი მოხსენება. კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი, პ. ი. ყიფიანი და ა. ა. ქალანთარი.

შემდეგ ბ-ნმა ფირალოვმა კრებას წარუდგინა საყურადღებო მოხსენება იმის შესახებ, თუ რა გააკეთა ამას წინად პეტერბურგში მოწვეულმა რუსეთის სათევზო მრეწველობის მოღვაწეთა საზოგადო კრებამ. ბ-ნ ფირალოვის მოხსენებით, სათევზო მრეწველთა კრებაზე გამოირკვა, რომ მთელს რუსეთში სათევზო მრეწველობას ეწევა და უმეტესად მითი ცხოვრობს 8—10 მილიონამდე კაცი, რომელთა ყოველ წლიური ნაწარმოების ღირებულება უდრის 1½—2 მილიარდ მანეთს.

კრებას განუხილავს სულ 50 მოხსენება. ყველა კუთხის მრეწველთა მდგომარეობისა და მათის ნაწარმოების ვითარებათა გასაცნობად კრებას საჭიროდ უცვნია და გამოუთქვამს სურვილი დაარსებულ იქმნას ცენტრალური და ადგილობრი-

---

იყო ბურთაობა. ყველა მოწაფეები ორ წრედ გაიყოფოდნენ, აირჩევდნენ ახალგაზრდა მასწავლებელთაგან მეთაურებს, ისროდნენ შუაზე დიდ ბურთს და ორივე მხარე ცდილობდა გაეტანა ლელოზე. ასე ვმხიარულობდით მთელი დღე და მხოლოდ დაღამებისას ყველანი, მხიარულნი და ყმაყოფილნი დავბრუნდებოდით ბინაზე.

მაგრამ 185... წელს ჩვენ ძრიელ ცუდი პირველი მაისი გაგვითენდა და ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. ამ წელიწადს ჩვენს სკოლაში ახალი უფროსი ანუ სმოტრიტელი დანიშნეს. ის გახლდათ ერთი ჩვენებური ღარიბი დიაკვნის ვაჟი და სასულიერო აკადემია ჰქონდა დასრულებული. თუმცა ტანად ძლიერ პატარა იყო, მაგრამ ნაცვლად, თურმე, საშინელი დიდ-გულა და თავ-მოყვარე ბრძანდებოდა. მაგრამ მოწაფეებმა ეს არ იცოდენ და იმ წელიწადს უფრო ძალა დაატანეს თავიანთ ღარიბ ჯიბეს, რომ კარგად მომზადებულიყვნენ პირველი მაისისათვის და ღირსეული პატივი ეცათ ახალ უფროსისათვის.

და მართლაც, რომ კარგად მოვემზადეთ. თავის დროზე გავგზავნეთ დეპუტაცია, რომლის მეთაურად იყვნენ უკანასკნელი კლასის ორი პირველი მოწაფე პ. და ქ. მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი პატარა უფროსი კვიმატ ჯორზე შებძანდებოდა და ყველაფერს წაგვამწარებდა ამ ბედნიერ დღეს!

ჩვენი არჩეული დეპუტატები წარსდგენ თავმოწონებით უფროსის წინაშე და ღიმილით მოახსენეს მისვლის მიზეზი. მაგრამ, მადლობის ნაცვლად, გაანჩხლებულმა უფროსმა დაუყვირა მათ:

— ვინ მოგცათ უფლება, რომ დღეს სწავლას დააკლდით და მინდორში სადილი გამართეთ?

— ასე გახლდათ ყოველთვის პირველ მაისს, მოახსენეს დეპუტატებმა.

— წაშავდით აქედან! მე თქვენ ხვალ გიჩვენებთ პირველ მაისს!—წამოიძახა უფროსმა და შეტრიალდა ოთახში.

სახტად დარჩენილი და შერცხვენილი დეპუტატები იახლენ ინსპექტორს და შუამდგომლობა სთხოვეს უფროსის წინაშე. ჩვენი სკოლის ინსპექტორად იმ დროს იყო განსვენებული დეკანოზი თ. კ... მან კარგად იცოდა, რა შვილიც ბრძანდებოდა ჩვენი უფროსი, მაგრამ ხათრი არ გაუტეხა მოწაფეებს, მივიდა უფროსთან და სთხოვა მიეტევებია მათთვის პირველი შეცდომა და მობრძანებულიყო სადილზე. ვერა შეასმინა-რა. უფროსის მორიდებით, ვერც ინსპექტორმა და მასწავლებლებმა გაბედეს სადილზე მოსვლა.

დიდი ხნის ლოდინის შემდე დაბრუნდნენ ჩვენი დეპუტატები დაღონებულნი და მოგვიტანეს სამწუხარო ამბავი. ძრიელ გვეწყინა, მაგრამ რას ვუშველიდით? რაკი სადილი მზად გვქონდა, დავსხედით და ვისადილეთ უგემურად და მოწყენით: აღარც სიმღერა, არც თამაში და ბურთაობა! სადილს შემდეგ ყველანი წავიდნენ თავიანთ ბინაზე მოწყენილები. მაგრამ რას ვიფიქრებდით, თუ საქმე არც ამითი გათავდებოდა და ნამდვილი პექა-ქუხილი მეორე დღეს მოგველოდა.

ორს მაისს ყველანი სკოლაში შევიკრიბენით. რვა საათზე დაირეკა ზარი და სკოლის ეზოში გამოჩნდა ჩვენი უფროსი; მას თან მოსდევდნენ ინსპექტორი და ყველა მასწავლებლები. მოპრძანდა თუ არა, დაუძახა სკოლის მოსამსახურეს და რაღაც უბრძანა. შემდეგ გამოგვიცხადეს, ყველა შეგირდები ერთს კლასში შევსულიყავით. ჩვენც აღვასრულეთ ბრძანება. ცოტა ხანიცა და კლასში შემოვიდა განრისხებული უფროსი და იწყო სიარული. მას თან შემოყვენ ინსპექტორი და მასწავლებლები. ჩვენ, რასაკვირველია, ყველანი ფეხზე ვიდექით და დასვენებასაც-კი ვერა ვბედავდით: გულის ფანცქალით შევცქეროდით ერთმანერთს თვალებში და არ ვიცოდით, რა მოგველოდა.

ცოტა ხანიცა და კლასში შემოვიდა ორი მოსამსახურე და თან შემოიტანეს ბროწეულის წკნელები. ყველანი ავკანკალდით შიშით!

— „პ... ო! გამობრძანდი"!, უბრძანა უფროსმა.

პ... ო იყო უკანასკნელი კლასის პირველი მოწაფე, შთამომავლობით ბერძენი, მაგრამ ქართული კარგად იცოდა. მშვენიერი ჩერქესკა ეცვა და გაწკიპული პატარა ულვაშები ჰქონდა.—გამოვიდა ათრთოლებული და კარების ახლოს გაჩერდა.

— „ჩახადეთ ყველაფერი, გააწვინეთ და სცემეთ"! უბრძანა უფროსმა მოსამსახურეებს. მაგრამ თავ მომწონე ახალ გაზრდა ბერძენმა იუკადრისა ამოდენა ხალხში გატიტვლება და გაროზგვა.

— „არ მინდა თქვენი სწავლა"!—სიჩქარით დაიძახა, იბრუნა პირი და გავარდა კარში.

— „ძრიელ კარგი"!—მიაძახა უფროსმა.

— „ქ—ძე"!—დაიძახა უფროსმა.

გამოვიდა მშვენიერი ახალ გაზრდა იმერელი ქ—ძე, რომელიც უკანასკნელი კლასის მეორე მოწაფე იყო.

— „გააწვინეთ და სცემეთ"!—ბრძანა უფროსმა.

საბრალო ყმაწვილი თავის ნებით გაიშხლართა მტვრიან იატაკზე.

— „ჩახადეთ და ისე სცემეთ"! უბრძანა მოსამსახურეებს.

მათაც აღასრულეს ბრძანება, მაგრამ საბრალო ყმაწვილმა ვერ გაუძლო ცემას ბოლომდის და, ძრიელ რომ ემწვავა, წამოხტა, გაისწორა საცმელი და გავარდა კარში.

ურჩი ბერძენი პ., რომელსაც ერთი თვის შემდეგ უნდა გაეთავებია სკოლა, სრულიად გამორიცხა უფროსმა. ქ—ძეს კი, დიდი შუამდგომლობით, ნება მისცა განეგრძო სწავლა.

ასე სამწუხაროდ გათავდა, მკითხველო, 185... წელს ჩვენთვის პირველი მაისის მხიარულება!

წყალტუბელი.

ვი საზოგადოებანი; ამასთანავე კრებას გამოუთქვამს—თავისუფლება მიენიჭოს კერძო საზოგადოებას სათავსო მრეწველობის დახმარების საქმეში: მათ უნდა გამართონ ხოლმე დრო-გამოშვებით შინა-მრეწველთა სხდომები უმთავრესად მრეწველთა სხვა-და-სხვა საჭიროებაზე მოსალაპარაკებლად, ერთმანეთის გასაცნობლად და სხვა. კრებას გადაუწყვეტია აგრეთვე, დაარსებულ იქმნას არა ნაკლებ 15 წევრისაგან შემდგარი მრეწველთა ბიურო პეტერბურგში, რომელსაც დავალებული ექნება მზრუნველობა გაუწიოს მრეწველთა ყოველ მხრივ წარმატებას.

იმ საკითხის გამო, თუ როგორ მოეწყოს მრეწველთა შემწეობის საქმე იმ გუბერნიებში, სადაც ჯერ ერობა არ არის შემოღებული, კრებას გამოუთქვამს სურვილი, რომ მთავრობამ შეიმუშაოს, როგორი შემწეობა უნდა აღმოუჩინოს სახელმწიფომ მცხოვრებლებს შინა მრეწველობის წარსამატებლად და გასაუმჯობესებლად. ამასთანავე კრებამ აღნიშნა, რომ ამ მხრით არსებითი სარგებლობის მოტანა შეუძლიან ხალხისათვის მხოლოდ საერობო დაწესებულებათ, რომელთა მაგიერობას ძნელად თუ გასწევს ბიუროკრატიული გამგეობა.

მრეწველთა ყოველივე საჭიროების შესასწავლად კრებას გადაუწყვეტია შუამდგომლობა აღიძრას მთავრობის წინაშე, რომ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათ უფლება მიეცეს დანიშნონ თავის სამოქმედო რაიონებში მრეწველთა საქმეებზე მზრუნველები და ინსტრუქტორები; გამოუთქვამს აგრეთვე სურვილი, რომ მრეწველთ ყოველგვარი შემწეობა და მელიორაციული სესხი ეძლეოდეს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა შუამდგომლობით. გარდა ამისა კრებას გადაუწყვეტია: წვრილი სესხი მრეწველთ მიეცეს გრძელის ვადით, მაგ. 10 წლით; დაარსებულ იქმნეს სახელმწიფო სახალხო ბანკი განყოფილებებით სხვა სხვა-და-სხვა კუთხეებში, გამოითხოვონ შემწეობანი სახელოსნოებისა და ისეთის სასწავლებლების გასავრცელებლად, სადაც მრეწველნი საუკეთესოდ შეისწავლიან სხვა-და-სხვა ხელობას, გამოკვლეულ იქმნეს ყველა ის რაიონები და მაზრები, სადაც კეთდება და სადდება შინა-მრეწველთა ნაწარმოებნი.

კრებამ გამოსთქვა აგრეთვე სურვილი შემოიღონ რუსეთში სავალდებულო საყოველთაო პირველ-დაწყებითი სწავლა; დაევალოს ადგილობრივ საზოგადოებათ მუზეუმისა და შინა-მრეწველობის საწყობების გამართვა და სხვა.

მოხსენების წაკითხვის შემდეგ ა. ა. ქალანთარმა წამოაყენა საკითხი იმის შესახებ, რომ სამეურნეო საზოგადოებამ ითავოს მუზეუმისა და საწყობის გამართვა. ქალანთარის აზრით, ამ ორის დაწესებულების განხორციელება იქნება პირველი ნაბიჯი მრეწველთა გაცნობისა და შემდეგ სხვა-და-სხვა საშუალებათა მიღებით მათის მდგომარეობის გაუმჯობესებას უფრო კარგი ნიადაგი ექნებათ. თვით მომხსენებელმა ბ-ნმა ფირალოვმა კრებას ურჩია მიიღოს გადაწყვეტილება სრულიად რუსეთის შინა-მრეწველთა საზოგადო კრებისა და კავკასიის სხვა-და-სხვა ნაწილებში იყოლიოს შინა-მრეწველთა მდგომარეობის შესასწავლად და მათს დასახმარებლად განსაკუთრებული მზრუნველნი. აღნიშნულ საკითხებმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვიეს. ბოლოს კრებამ თითქმის ერთხმად მიიღო ეს წინადადებანი, მხოლოდ ამასთანავე გადასწყვიტა მათი კარგად შემუშავება, რაც საზოგადოების საბჭოს დაავალა.

უცხოეთის წვრილი ამბები

იმპერატორი ვილჰელმ მეორე და სესილ როდსი. ფრანგულ გაზეთს „ტან“-ში მოყვანილია იმპერატორის ვილჰელმის საუბარი სესილ როდსთან შესახებ რკინის გზის გაყვანისა ქაირიდან კაპშტადტში. იმპერატორმა, რომელსაც ძალიან აინტერესებდა ეს პლანი და რომელსაც სურდა, გზის აშენებაში მონაწილეობა მიეღოს, ასე დაამთავრა თავის საუბარი.

— ამ გვარად, ბატონო როდს, რკინის გზის ჩემი ნაწილი მზად იქნება ორი-სამი წლის შემდეგ. მე საშინლად მინდა, დავესწრო ჩემი და თქვენი რკინის გზების შეერთების დღესასწაულს, მაგრამ, მგონია, არ მომიხდება. ვისმეს გამოვგზავნი ჩემს სამაგიეროს.

— არა, ბატონო, —უპასუხა როდსმა... არა, ბატონო, თქვენი რკინის გზა სამიწლის შემდეგ მზად არ იქნება. მე არ ვიცი, თქვენი ქვეშევრდომები გერმანიაში რას აკეთებენ, მაგრამ აფრიკაში-კი ეს მეტი უძრავი და უშნო ხალხია, რომელიც კი მინახავს ჩემს სიცოცხლეში. და მე დარწმუნებული ვარ, ბევრი წყალი ჩაივლის, ვიდრე ისინი გზის აშენებას შეუდგებიან.

ეს ძალიან გაბედული სიტყვები იყო, მაგრამ შემდეგ უარესი სთქვა როდსმა:

— ვიდრე გამოგეთხოვებოდეთ,-უთხრა როდსმა,— მადლობა უნდა გადახიდოთ იმ დეპეშისთვის, რომელიც კრიუგერს გაუგზავნეთ თქვენ. თქვენ დაინახეთ, ბატონო, რომ მე საძაგელ საქმეში გავები და როდესაც შინ დავბრუნდებოდი, „დიდედასაგან“ წკეპლებს უნდა მოველოდებოდი, როგორც დამნაშავე ცელქი ბავშვი. მაგრამ თქვენ მოინდომეთ საქმეში ჩარევა, დეპეშა გაგზავნეთ და ჩემ მაგივრად წკეპლები მიიღეთ.

როდსს ჩვეულებად ჰქონდა, როდესაც ინგლისზე ლაპარაკობდა, „დიდედად“ იხსენიებდა ხოლმე იმას. ის კი ველარ მოისაზრა როდსმა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს სიტყვები დედოფალ ვიქტორიას შვილის შვილზე.

მეორე ინციდენტი მეორე დღეს მოხდა. იმპერატორი და სესილ როდსი რკინის გზის და ტელეგრაფის მოვლისა და შენახვის ხელშეკრულებას იხილავდნენ.

იმპერატორმა წარმოსთქვა:

— მაშ, ბატონო როდს, მე მგონია, თქვენ თანახმა ხართ ამ ხელშეკრულებაზე?

— მაგდენად არა, ბატონო, თქვენს ანგარიშში არ შედის, რომ გაკოტრებულად გამომაცხადოთ.

— რა გინდათ ამითი სთქვათ?—ჰკითხა იმპერატორმა, რომელმაც თითონ მისცა ინსტრუქციები კონვენციის შესადგენად.

— მე მინდა ვსთქვა შემდეგი. ამ დოკუმენტში ერთი მუხლია, რომელიც ამბობს, რომ თქვენი უდიდებულესობა ვალდებულია მოუაროს და შეინახოს რკინის გზა, სესილ როდსი კი გარდაიხდის შენახვის ხარჯს. ახლა, ბატონო, ამ მუხლის ძალით, თქვენ ვერაფერი ვერ დაგიშლით, მთელი კორპუსი გაგზავნოთ ამ საქმისთვის და თუ მე უნდა შევინახო ეს კორპუსი, მაშინ იძულებული ვიქნები, ჩემი თავი გაკოტრებულად აღვიარო.

იმპერატორს გაეცინა და უთხრა.

— თქვენ მართალი ხართ.

შემდეგ მიუბრუნდა ბიულოვს და უთხრა:

— რამდენიმე სიტყვა დაუმატეთ როდსის პასუხის გების განსამარტებლად 40,000 გირვანქა სტერლინგით.

შემდეგ იმპერატორი იტყოდა ხოლმე როდსზე:

— ძლივსა ვნახე ნამდვილი კაცი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 მაისი

პეტერბურგი. დღეს დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული პეტერბურგში მოვიდნენ და ცარსკოე-სელოში გაემგზავრნენ.

რეველი. ქალაქის საბჭომ პრეზიდენტ ლუბეს დასახვედრად 3,500 მან. გადასდო.

სოხუმი. გაგრაში სამკურნალო სადგური ივნისის დამლევს გაიხსნება.

კრონშტადტი. მოვიდა „ერმაკი“ და მას მოჰყვა ოც-სავაჭრო გემზე მეტი.

კამიშლოვი. გლეხებს, რომელთაც უჭირდათ პური, ამ ჟამად მაღაზიებიდან სამყოფი დაურიგეს.

სარატოვი. სიფხიზლის საქალაქო კომიტეტმა დაადგინა ქალაქის ბაღში ააშენოს თეატრი, 75,000 მანეთად ღირებული.

ვარშავა. ვარშავში დიდ-მემამულეთ თათბირი ჰქონდათ, რომელთაც დაადგინეს, შეადგინონ რამდენიმე ამხანაგობა, რომ გამართონ და აწარმოვონ ერბოს საკეთებლი ქარხნები, რათა ერბო საზღვარ-გარედ გაიზიდოს.

ვირბორგი. სოფელ რაივოლაში 17 სახლი დაიწვა.

ტამბოვი. დღეს მობრძანდა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს და, შემდეგ სათადარიგო კავალერიის პოლკების დათვალიერებისა, გაემგზავრა კირსანოვში.

ირკუტსკი. ყინულის მჭრელმა ბაიკალის ტბაზე სწორე მიმოსვლა გახსნა.

პარიზი. პრეზიდენტ ლუბეს რუსეთში წასვლამ აღტაცება გამოიწვია კორსიკაზე; აიაჩიოს და სხვა ქალაქების საბჭოებმა გაუგზავნეს ლუბეს დეპეშა; საზოგადო დაწესებულებათა შენობები ბაირაღებით არის მორთული.

ვისბადენი. იმპერატორმა დეპეშა გაუგზავნა რუზველტს: „თქვენ მიერ პრინც ჰენრიხის მიღების აღსანიშნავად მე გადავწყვიტე, ვუთავაზო ამერიკას ფრიდრიხ დიდის ანდრიანტი ვაშინგტონში დასადგმელად.“ რუზველტმა მადლობა გადაუხადა და შეუთვალა, რომ წინადადებას კონგრესს წარუდგენს და რომ ამერიკის ხალხი დიდის სიამოვნებით იხილავს სატახტო ქალაქში დიდებული მეფის ძეგლს.

პარიზი. „სამხედრო მიმოხ.“-ის რედაქტორი ვიკონტი კიუვერვილი პეტერბურგში მივა კვირას ავტომობილით.

ვიტებსკი. ხელ-ახლად შეუდგნენ ახალი ლიანდაგის კეთებას პეტერბურგ-დნო-ნოვო-სოკოლნიკ-ვიტებსკი, ვინდავო-რიბინსკის გზისას. წლის დამლევს დაიწყება მოძრაობა ამ გზაზე.

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ სამს მაისს გამოცხადებულია: 1) პეტერბურგის მომრიგებელი მოსამართლეების არჩევნების გადადება ამ წელში იმ დრომდე, რომელიც დადგენილია 1901 წლის 10 სექტემბრის ბრძანებით სხვა თანამდებობის პირთათვის, რომელნიც აღირჩევიან საქალაქო მმართველობისაგან; 2) მანჯურიის და კორეის ხმელეთის საზღვრებზე და ზღვის პირად მდებარე ოლქში ორი საბაჟოს დაწესება და 3) ცხენის მომშენებელ-საქარხნო უმთავრესს სამმართველოში მთავარ კომისიათა დებულების დამტკიცება.—წითელის ჯვრის მეშვიდე სახალხოთაშორისო კონგრესის გამგე ბიუროს მოწვევით დღეს მოხდა პეტერბურგის ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელთა თათბირი კონგრესზე. ბიუროში შევიდნენ ოფიციალური ორგანოების წარმომადგენელნი. „რუსკი მედიცინსკი ვესტნიკისა“, „Journal de st. Petersbourg“, სატახტო გერმანული გაზეთებისა, „ნოვოე ვრემიასი“, „ნოვოსტისა“, „ბირჟ. ვედომოსტებისა“, „პეტერბ. ვედომოსტებისა“, „პეტერბ. გაზეთისა“, „პეტერ. ლისტოკისა“, „ტრუდოვოი პომოშჩისა“ და „რუსეთის ტელეგრაფის სააგენტსტვოსი“. ბიუროს თავმჯდომარედ აირჩიეს ს. ნ. სირომიატნიკოვი, საქმის მწარმოებლად ი. ნ. პეროზიო, კონგრესის ბიულეტენების რედაქტორებად ა. მ. პესმანი და სირომიატნიკოვი.

4 მაისი.

კოპენჰაგენი. საფრანგეთის ესკადრამ და პრეზიდენტმა ლუბემ საღამოს 6 საათზე და 15 წ. გაიარეს ხანტოხოლმის შუქურასთან წინ, იუტლანდიის დასავლეთ კიდესთან.

რიაზანი. საოლქო სასამართლომ სამი წლით დაპატიმრება გადაუწყვიტა ზვიაგინს. რომელიც მოტყუებით ფულებს აგროვებდა ქალთა მონასტრებში. წინად ზვიაგინს სხვა-და-სხვა დანაშაულობისათვის ხუთ საოლქო სასამართლოს გაუსამართლებია.

მოსკოვი. კომიტეტმა, რომელსაც მინდობილი აქვს მოაწყოს საფრანგეთის ჟურნალისტების დახვედრა, დაადგინა მიეგებნენ მათ კლინში. საღამოზე სადილი გაუმართონ; მეორე დღეს —ნადიმი სალიტერატურო სამხატვრო საზოგადოების დარბაზში.

დვინსკი. შემახედებისა და ბობრუისკელების სასარგებლოდ გამართულ საქველ-მოქმედო საღამოს შემოსავალი 1431 მ. 21 კ. იყო.

ხერსონი. საბჭომ 2 მაისს ფეხზე დგომით მოისმინა უმაღლესი რეზოლიუცია: სიამოვნებით წავიკითხე—რომელიც წარწერილია შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებაზე შესახებ ხერსონის მოქალაქეთა მიერ წარდგენილი უქვეშევრდომილესი ერთგულებისა და მადლობისა. დამთავრდა დიდი აზრი, რომელიც აერთებს დნეპრს ზღვასთან და რომელზედაც ახლა ივლიან უცხოელთა სავაჭრო ხომალდები.

პეტერბურგი. „პრავიტელსტვ. ვესტნ.“-ში [illegible] უმაღლესი რესკრიპტი დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულისა ბარონესას ფრედერიკსის მიმართ შესახებ 35 წლის შესრულებისა ს [illegible], რაც დაარსდა წითელი ჯვრის საზოგადოება. ამასთანავე ბარონესას ებოძა პირველი ხარისხის ნიშანი წითელი ჯვრისა.

— უწმინდესმა სინოდმა დაადგინა დაარსოს ქალთა—მისსიონერთა საზოგადოება პოკროვსკის კანგალასკის სამრევლო ეკკლესიასთან, სოფ. პოკროვსკაში, იაკუტსკიდამ 83 ვერსის სიშორეზე.

26 აპრილს პეტერბურგის სამხედრო-საოლქო სასამართლომ განიხილა საქმე სტეფანე ვალერიანის ძის ბალმაშოვისა, რომელმაც მოკლა შინაგან საქმეთა მინისტრი სიპიაგინი, და გარდაუწყვიტა ყოველი ღირსების ახდა და ჩამოხრჩობა. 3 მაისს ჩამოახრჩეს.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი – დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (ს ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 1 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 წ. (4 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან ხელით ნახატებიდან.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ აუწყებს, რომ სექტემბრის 1-ს ამა 1902 წლისას, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, მის თანადასწრებით იქნება **საჯარო ვაჭრობა**, რომლით იჯარით გაიცემა ნავთის საწარმოებლად ქალაქ ტფილისის ოთხ სანავთო ნაჭერში ერთი ნაჭერი, რომელიც იმყოფება „ნავთის ქალაში“, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირას, ქალაქიდან 12 ვერსის მანძილზე, ზომით ორი დესეტინა და 1044 ოთხ.-კუთ. საჟენი; საზღვრები აღნიშნულია ქალაქის მიწის მზომელის მიერ შედგენილს გეგმაზე, რომელიც თვით პირობებს ზედ-დართული აქვს.

ეს ნავთიანი მიწის ნაჭერი იძლევა იჯარით იმ პირობით, რომ ნავთის ნაწილი ქალაქ ტფილისს მიეცემა და ამ წილის რაოდენობა იქნება ცილობის საგნად ვაჭრობაზე. ვისაც დარჩება ამ ვაჭრობაზე ნავთიანი ნაჭერი, ნება აქვს, რომელიც უნდა, ის ნაჭერი აირჩიოს ზემოხსენებულ ოთხ ნაჭერში. ვაჭრობის დაწყებამდე, თითოეულმა ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა შემოიტანოს ბეთ ნაღდ ფულად ანუ პროცენტიან ქაღალდებად 2,000 მანეთი. ვაჭრობა მოხდება როგორც სიტყვიერად, ისე დაბეჭდილ განცხადებათა შემწეობით, ხოლო ამ უკანასკნელს შემთხვევაში დაბეჭდილ კონვერტში უნდა იყოს: ა) ბეი 2,000 მან. ნაღდ ფულად ან სახელმწიფო ან საიპოტეკო გირავნობის ფურცლები ბ ობლიგაციები) $^{0}/_{0}$-იან ქაღალდებათ ზედ წარილ ფასის ანგარიშით; () სახელი, მამის სახელი და გვარი იჯარის აღების მსურველისა და მისი აღრესი; გ) სიტყვებით დაწერილი უნდა იყოს, რა წილს აძლევს ქალაქს ამოღებულის ნავთისას.

არავითარი გარეშე კომბინაციები, ზედ-დართული შემოძლეულს ფასზე, კონდიციებში წინადვე საჭიროდ არ დანახული, მხედველობაში არ იქნება მიღებული.

დაბეჭდილი პაკეტები უნდა წარედგინოს გამგეობას ნაშუადღევის 1 საათზე, არა უგვიანეს იმ დღისა, რა დღესაც დანიშნულია ვაჭრობა. განცხადებას, ჩადებულს დაბეჭდილ კონვერტში, თუ ზემოხსენებული პირობანი არ იქნება დაცული, სრულიად არ განიხილავს გამგეობა. პირობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში, მის მე-4 განყოფილებაში, ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევი 3 საათამდე. ვისაც ჰსურს, შეიძლება ფოსტით გაეგზავნოს პირობანი. (3—2)

Дозволено цензурою Тифлисъ, 4 Мая 1902 года.
ელექტრონით მბეჭდავი სტ-მბ. წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობის